

17 დეკემბერი, 2013 წელი

*ღია მმართველობა პარტნიორობის თანა-თავმჯდომარეებს*

კუნტორო მანკუსუბროტოს

ალექსანდრა ლაგუნესს

სუნეტა კაიმალს

რაკემ რაჯანის

ასლი: OGP-ის მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრებს,

იურდან ჰუსეინს, ანია კალდერონ მარისკალს;

OGP-ის წევრ სახელმწიფოებს;

საჯარო განცხადება მიყურადების არაპროპორციულ პრაქტიკასთან დაკავშირებით

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები, ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას ღია მმართველობის პარტნიორობის მიზნებისადმი, რომელიც მხარს უჭერს „უფრო გამჭვირვალე, ანგარიშვალდებულ, პასუხისმგებელ და ეფექტურ მთავრობას“, დაფუძნებულს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებზე.

ვუერთდებით სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადამიანის უფლებათა დამცველ ჯგუფებს, მეცნიერებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რათა გამოვხატოთ ღრმა შეშფოთება მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრი სახელმწიფოების მხრიდან მოსახლეობის პირადი კომუნიკაციების ფარულად მიყურადების დამკვიდრებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რაც ხშირ შემთხვევაში საიდუმლოდ, სპეციფიური სანქციების და საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ხორციელდება.

გავრცელებული აზრის მიხედვით, მსგავსი პრაქტიკა, ასევე მოიცავს სხვადასხვა ქვეყნებს შორის მონაცემების გაცვლის იმ შიდა კანონების გვერდის ავლით, რომლებიც ზღუდავს მთავრობის მიერ მოქალაქეთა პირად კომუნიკაციებზე მიყურადების საშუალებას.

დამკვიდრებული პრაქტიკა ძირს უთხრის ძალაუფლების გადანაწილების პრინციპს, რაზეც დამყარებულია ანგარიშვალდებულება და საფრთხეს უქმნის გამოხატვის, ინფორმაციისა და გაერთიანების თავისუფლებას. აღნიშნულის გარეშე კი ღია მმართველობის იდეალები კარგავს მნიშვნელობას.

როგორც ბრაზილიის პრეზიდენტმა, დილმა რუსეფმა გაეროში გამოსვლისას განაცხადა: „*იქ, სადაც არ არის დაცული ადამიანის პირადი სივრცე, არ შეიძლება იყოს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება და შესაბამისად, ვერ იქნება მყარი დემოკრატია.*“

ქმედებები, რომლებიც ზღუდავს პირადი სივრცის უფლებას, მათ შორის კომუნიკაციების ზედამხედველობა, გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ის დაშვებულია

კანონით დადგენილი წესით, აუცილებელია კანონიერი მიზნის მისაღწევად და დასახულ მიზანთან თანაზომიერია. როგორც ცვანეს პრინციპები განსაზღვრავს, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელთ არსებული მიყურადების მექანიზმების წინააღმდეგ მყარი საკანონმდებლო და იურიდიული ბერკეტებისა და მამხილებელთა უსაფრთხოების მტკიცე გარანტიების გარეშე, შესაძლოა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მომსწრენი გავხდეთ.

მოვუწოდებთ ყველა მთავრობას, განსაკუთრებით ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრ ქვეყნებს, რომ:

- აღიარონ პირადი სივრცისა და ადამიანის უფლებების არსებული კანონმდებლობის გადახედვის საჭიროება, რათა მოხდეს მათი მოდერნიზება იმგვარად, რომ ასახოს თანამედროვე სამეთვალყურეო ტექნოლოგიები;
- 2014 წლის ოქტომბრისთვის დაასრულონ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში აღებული ვალდებულება და გადახედონ ეროვნულ კანონმდებლობებს, რათა დაიგეგმოს ისეთი რეფორმები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან კანონიერ და პროპორციულ ზედამხედველობას; უზრუნველყონ პრესის თავისუფლება და დაიცვან ის მამხილებლები, რომლებიც კანონის ფარგლებში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მცდელობებს ხდიან საჯაროს;
- უზრუნველყონ OGP-ის სამოქმედო გეგმებით გაწერილი ზედამხედველობის მექანიზმების, მიყურადების ტექნოლოგიების გავრცელების, მიყურადების ტექნოლოგიების განხორციელებისთვის ხელშეწყობისა და სახელმწიფოთა შორის მოქალაქეების მონაცემთა გაცვლის გამჭვირვალობა;